- ჩვენი სკრინინგის პროგრამები განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომლებსაც კიბოს, ან რეტინოპათიის (თვალის დაავადება) სიმპტომები არ აქვთ.
- ზოგიერთ ადამიანს, საშვილოსნოს ყელის კიბო, რეგულარული სკრინინგის მიუხედავად, მაინც განუვითარდება. სკრინინგი ყველა სახის კიბოს, ან რეტინოპათიას არ ავლენს. კიბო შეიძლება სკრინინგებს შორის განვითარდეს (შუალედური კიბო).
- თუ ვიზიტის დანიშვნისთვის დამატებითი დახმარება დაგჭირდებათ, გთხოვთ, ჩვენს თანამშრომლებს დაუკავშირდეთ. დეტალები პროგრამის ვებსაიტებზე, ქვემოთ არის მოცემული.

BreastCheck

An Clár Náisiúnta Scagthástála Cíoch
The National Breast Screening Programme

- სარძევე ჯირკვლის სკრინინგი კიბოს ადრეულ გამოვლენას უწყობს ხელს, სანამ ადამიანს სიმპტომები გამოუვლინდება. თუ დაავადება ადრეულ ეტაპზე გამოვლინდა, მისი მკურნალობა უფრო ადვილია და გამოჯანმრთელების უკეთესი შანსი გაქვთ.
- პროგრამა „BreastCheck“ განკუთვნილია 50-დან 69 წლამდე ასაკის ქალებისთვის. პირველ მოწვევას მიიღებთ იმისდა მიხედვით, თუ თქვენს რეგიონში სკრინინგი ხელმისაწვდო როდის გახდება. COVID-19-ით გამოწვეული დაყოვნების გამო, პირველი მოწვევის მიღებისას, შესაძლოა 53 წლის იყოთ.
- მკერდის სკრინინგი BreastCheck-ის კლინიკაში, ან მობილურ სკრინინგ პუნქტში ტარდება. ეს პუნქტები ირლანდიის სხვადასხვა ადგილებში გადაადგილდება.
- სარძევე ჯირკვლის სკრინინგის დროს,თქვენი მკერდის რენტგენს გადავიღებთ (ე.წ. მამოგრაფია). მას ძუძუს კიბოს აღმოჩენა შეუძლია მაშინ, როდესაც ის დასანახად, ან შესაგრძნობად ძალიან პატარაა.
- მკერდის გამოკვლევა კიბოს ყველა ტიპს არ გამოავლენს. თუმცა, ეს ძუძუს კიბოს სერიოზული შედეგების სიხშირეს ამცირებს.
- თქვენი მკერდი თავად შეგიძლიათ შეამოწმოთ, რათა იცოდეთ, თქვენი მკერდისთვის ნორმალური რა არის. თუ ძუძუს კიბოს რაიმე უჩვეულო ცვლილებას, ან სიმპტომს შეამჩნევთ, მათ შორის სიმკრივეს სარძევე ჯირკვალში, თქვენს ჯანდაცვის პროვაიდერს დაუყოვნებლივ დაუკავშირდით. მომდევნო სკრინინგ ტესტს არ დაელოდოთ.
- შეამოწმეთ, განაახლეთ, ან შეუერთდით ძუძუს სკრინინგის ჩვენს ონლაინ რეესტრს, ან მეტი ინფორმაცია ნახეთ:

  უფასო ტელეფონი: **1800 45 45 55**
  ელფოსტა: **info@breastcheck.ie**
  ვებსაიტი: **hse.ie/breastcheck**

CervicalCheck

AN CLÁR NÁISIÚNTA SCAGTHÁSTÁLA CEIRBHEACS
THE NATIONAL CERVICAL SCREENING PROGRAMME

- საშვილოსნოს ყელის სკრინინგი კიბოს ადრეულ გამოვლენას, სიმპტომების გამოვლენამდე, HPV (ადამიანის პაპილომავირუსის) ტესტის გამოყენებით უწყობს ხელს.
- პროგრამა „CervicalCheck“ საშვილოსნოს ყელის უფასო HPV სკრინინგს, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, 25-დან 29 წლამდე ქალებს და საშვილოსნოს ყელის მქონე ადამიანებს სთავაზობს. 30-დან 65 წლამდე ასაკის პირებისთვის, ის ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.
- ჩვენ მოწვევას გამოგიგზავნით და თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ ექიმს, ან კლინიკას ეწვიოთ, რომელიც CervicalCheck-შია რეგისტრირებული.
- თუ რაიმე დამატებითი გამოკვლევა გჭირდებათ, ჩვენ შეგატყობინებთ.
- საშვილოსნოს ყელის რეგულარული სკრინინგი, HPV-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, თუ ამის უფლება გაქვთ, და პათოლოგიური უჯრედების დროული მკურნალობა, საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს ამცირებს.
- თუ საშვილოსნოს ყელის კიბოს სიმპტომები გაქვთ, მომდევნო სკრინინგ ტესტს ნუ დაელოდებით.
- სიმპტომები შეიძლება პათოლოგიურ სისხლდენას ან მენჯის ტკივილს მოიცავდეს. დაუყოვნებლივ თქვენს მკურნალ ექიმს დაუკავშირდით.
- შეამოწმეთ ჩვენი ონლაინ რეესტრი, რათა გაიგოთ, თქვენი შემდეგი სკრინინგის ტესტი როდის არის დაგეგმილი, ან თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია განაახლოთ.
- CervicalCheck-ის პროგრამაში ჩასაწერად, ან დამატებითი ინფორმაციისთვის:

  უფასო ტელეფონი: **1800 45 45 55**
  ელფოსტა: **info@cervicalcheck.ie**
  ვებსაიტი: **hse.ie/cervicalcheck**

BowelScreen

An Clár Náisiúnta Scagthástála Putóige
The National Bowel Screening Programme

- ნაწლავის სკრინინგს კიბოს ნიშნების ადრეული გამოვლენა შეუძლია მანამ, სანამ ადამიანს სიმპტომები გამოუვლინდება.
- პროგრამა „BowelScreen“ სახლში უფასო ტესტირების კომპლექტს 59-დან 69 წლამდე ასაკის ადამიანებს, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სთავაზობს.
- თუ დაავადება ადრეულ ეტაპზე გამოვლინდა, მისი მკურნალობა უფრო ადვილია და გამოჯანმრთელების უკეთესი შანსი გაქვთ.
- ჩვენ მოწვევას გამოგიგზავნით. თუ მონაწილეობას გადაწყვეტთ, ჩვენ სახლში ტესტირების კომპლექტს გამოგიგზავნით. ტესტი მარტივია და სულ რამდენიმე წუთს საჭიროებს. ტესტი საპირფარეშოში შეინახეთ, რათა შემდეგ ჯერზე ის ხელთ გქონდეთ. აიღეთ თქვენი განავლის (ექსკრემენტის) ნიმუში და უფასო ფოსტით გამოგვიგზავნეთ.
- თუ დამატებითი ტესტები დაგჭირდებათ, ჩვენ შეგატყობინებთ.
- თუ ნაწლავის კიბოს სიმპტომები გაქვთ, მომდევნო სკრინინგ ტესტს ნუ დაელოდებით.
- სიმპტომები შეიძლება მუდმივად შეიცვალოს, როგორიცაა ცვლილებები კუჭის მოქმედებაში, სისხლი განავალში, ან მუცლის ტკივილი. დაუყოვნებლივ თქვენს მკურნალ ექიმს დაუკავშირდით.
- BowelScreen-ზე დასარეგისტრირებლად, ან დამატებითი ინფორმაციისთვის:

  უფასო ტელეფონი: **1800 45 45 55**
  ელფოსტა: **info@bowelscreen.ie**
  ვებსაიტი: **hse.ie/bowelscreen**

Diabetic RetinaScreen

An Clár Náisiúnta Scagthástála Reitiní do Dhiaibéitigh
The National Diabetic Retinal Screening Programme

- პროგრამა „Diabetic RetinaScreen“ მიზნად ისახავს, 1 ან 2 ტიპის დიაბეტის მქონე ადამიანებში თვალის სერიოზული დაავადების გამოვლენას და მკურნალობას. ამ დაავადებას რეტინოპათია ეწოდება.
- თუ რეტინოპათია ადრეულ ეტაპზე გამოვლინდება, მკურნალობის შედეგად შესაძლებელი იქნება თქვენი მხედველობის დაზიანების თავიდან აცილება, ან შემცირება.
- Diabetic RetinaScreen უფასოა 12 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისთვის და თუ მკურნალობა გჭირდებათ, ის ასევე უფასოა.
- სკრინინგს ყოველწლიურად გთავაზობთ. თუ თქვენი ტესტის შედეგები რეტინოპათიას ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ აჩვენებს, ჩვენ სკრინინგს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ შემოგთავაზებთ.
- ბადურის სკრინინგის დროს, თვალებში წვეთებს ჩაგაწვეთებთ და რეტინოპათიის დასადგენად, სპეციალურ ციფრულ ფოტოგრაფიას გამოვიყენებთ. მთელი ქვეყნის მასშტაბით, 100-ზე მეტი სკრინინგ ცენტრი გვაქვს.
- ექიმმა ან ჯანდაცვის პროფესიონალმა შეიძლება სკრინინგზე მიმართვა მოგცეთ. ასევე შეგიძლიათ, თვითრეგისტრაციის ონლაინ ფორმა შეავსოთ.
- შაქრიანი დიაბეტის მქონე ორსულ ქალებს უფრო რეგულარული სკრინინგი სჭირდებათ. თქვენს სამეანო გუნდს თქვენი დარეგისტრირება შეუძლია.
- თუ თქვენს მხედველობაში ცვლილებებს შეამჩნევთ, ან მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, დაუყოვნებლივ ექიმს, ოპტიკოსს, ან თვალის ექიმს მიმართეთ. თქვენს მომდევნო სკრინინგ ტესტს ნუ დაელოდებით.
- Diabetic RetinaScreen-ის პროგრამაში დასარეგისტრირებლად, ან დამატებითი ინფორმაციისთვის:

  უფასო ტელეფონი: **1800 45 45 55**
  ელფოსტა: **info@diabeticretinascreen.ie**
  ვებსაიტი: **hse.ie/diabeticretinascreen**

NSS/PUB/COM-34 Rev 1